

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასწავლო უნივერსიტეტი

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

აკადემიური საბჭო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №18

ქ. ბათუმი

29.09.2011 წელი.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროგრამული აკრედიტაციის, აკადემიური პერსონალის დატვირთვების, უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე აკადემიის სტუდენტების სასწავლო გადასახადისა და სტიპენდიის და მიმდინარე საკითხების თაობაზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 8 სექტემბრის №762 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის საზღვაო აკადემიის წესდების მე-4 მუხლის მეორე პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის მეორე პუნქტის, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ და „ფ“ ქვეპუნქტების და აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 სექტემბრის №18 ოქმის საფუძველზე სსიპ-სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის აკადემიურმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა

1. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენისათვის გადახდილ იქნას 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, ხოლო თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის:

- საზღვაოსნო მეცნიერებები (საზღვაო ნავიგაცია)-ბაკალავრი
- საზღვაოსნო მეცნიერებები (გემის მექანიკა)-ბაკალავრი
- საზღვაოსნო მეცნიერებები (ელექტრო მექანიკა)-ბაკალავრი
- მენეჯმენტი (საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა)-ბაკალავრი
- მენეჯმენტი (ნავსადგურის მენეჯმენტი)- ბაკალავრი

აკრედიტაციის გავლისთვის გადახდილ იქნას 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, სულ ჯამში შეადგენს 5500 (ხუთიათას ხუთას) ლარს.

წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად.

2. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება:

- სრული პროფესორის მინიმალური სააუდიტორო დატვირთვა შეადგენს 300 სთ-ს;
- ასოცირებული პროფესორის-340სთ-ს;
- ასისტენტ პროფესორის-380 სთ-ს;
- უფროსი მასწავლებლის სემესტრული სააუდიტორო დატვირთვა შეადგენს 140 სთ-ს;
- მასწავლებლის სემესტრული სააუდიტორო დატვირთვა შეადგენს 140 სთ.

წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად.

3. თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეები საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტი აბდულლაჰ იუჯე და ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის სტუდენტი მურათ ოლმეზი განთავისუფლდნენ სასწავლო გადასახადისაგან და დაენიშნოთ თითოეულს ა/წ 1 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 სექტემბრამდე ყოველთვიური სტიპენდია 120 ლარის ოდენობით. წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად.
4. აკადემიური საბჭოს მიერ მიეცეს უფლება საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის „გემის ელექტრომექანიკოსის“ სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტს კახა ძირკვამეს შიდა მობილობის წესით სწავლა გააგრძელოს ბიზნესის და მართვის ფაკულტეტის მეორე კურსზე სპეციალობით „ნავსადგურის მენეჯმენტი“.
5. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ მიეცეს რეკომენდაცია საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის „გემის მექანიკოსის“ სპეციალობის II კურსის სტუდენტს ლევან სისაურს შიდა მობილობის წესით სწავლა გააგრძელოს ბიზნესის და მართვის ფაკულტეტზე.

სსიპ- სასწავლო უნივერსიტეტი -
ბათუმის სახელმწიფო
საზღვაო აკადემიის რექტორი

ნიკოლოზ წიკლაური

აკადემიური საბჭოს მდივანი

ენვერ ხავლოშვილი